ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1586173

ნომერი: AR1263547

თარიღი : 05.11.2014

გაცემის თარიღი : 10.11.2014

გაცნობის თარიღი : 10.11.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ "მზიური"-ს ტერიტორიიდან;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მალხაზ ღოღობერიძე პ/ნ 01026003308
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. N 16 ბ. 5

ორგანიზაცია:
- ს/ს მზიური აკვა კოდი: 202245089

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და ნებისმიერ არქიტექტურულ გადაწყვეტას და იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო არეალი მდებარეობს ახალი გზის მთავარ მაგისტრალზე, არქიტექტურის სამსახურს როგორც ვიზუალური, ასევე ადგილმდებარობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიაჩნია სარეკლამო კონსტრუქციის განთავსება, მით უმეტეს, რომ ტერიტორიაზე მსგავსი პრეცენდენტის დაშვება შესაძლებელია შემდგომში გახდეს ანალოგიური მოთხოვნების წარმოდგენისა და მსგავსი ფაქტების დამკვიდრების საფუძველი, რაც მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას იქონიებს ქალაქის იერსახეზე და გამოიწვევს მაგისტრალის შემდგომ მიზანშეუწონელ განვითარებას (გადატვირთვას სარეკლამო კონსტრუქციებით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სარეკლამო კონსტრუქციის განთავსებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის შესახებ თქვენ ერთხელ უკვე გეცნობათ №1577714 05.11.2014წ. გადაწყვეტილებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge